## იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 2021 წლის 10 სექტემბერი

ერთი მხრივ შპს „თრიფელ ეი" (ს/კ 404523725) წარმოდგენილი მისი დირექტორი მიხეილ მუზაშვილის (პ/ნ 35001051156) სახით შემდგომში წოდებული, როგორც „მეიჯარე" და მეორე მხრივ, შპს „სილექს გრუპ" (ს/კ 404617688), წარმოდგენილი მისი დირექტორი ანა კერესელიძეს (პ/ნ: 01013006902) სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მოიჯარე". ერთად მოხსენიებული როგორც „მხარეები" ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას.

თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ პირდაპირ არ არის განსაზღვრული ან მისი კონტექსტიდან ერთმნიშვნელოვნად სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა :

მოიჯარე - ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი და/ან საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც მეიჯარესთან დებს ხელშეკრულებას და რომლის დასახელება და რეკვიზიტები მითითებულია ხელშეკრულების ძირითად პირობებში.

იჯარის საგანი - უძრავი ნივთი, რომელსაც მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს დროებით სარგებლობაში და რომელიც აღწერილია ხელშეკრულების ძირითადი პირობების შესაბამის პუნქტებში და დანართში.

უძრავი ნივთი - რომელსაც აქვს მხარეთა შორის შეთანხმებული ყველა თვისება და ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის და/ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის

სამუშაო დღე - დღე გარდა შაბათისა და კვირისა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა

ქირა - თანხა, რომელსაც მოიჯარე უხდის მეიჯარეს იჯარის საგნის ერთი თვით სარგებლობის სანაცვლოდ. ამასთან, ქირა მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს, აგრეთვე იჯარის საგნის კომუნალურ გადასახადების ხარჯს.

იჯარის ვადა - ხელშეკრულების ძირითადი პირობებით, განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს იჯარის საგანს დროებით სარგებლობაში.

დანართი - ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების თითოეული დანართი, მათ შორის წინამდებარე პირობები, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

დღე - კალენდარული დღე.

ეროვნული ვალუტა - საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი

უცხოური ვალუტა - ნებისმიერი ვალუტა, გარდა ეროვნული ვალუტისა

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, აგრეთვე, საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

უპირობოდ უნაკლო იჯარის საგანი - უძრავი ნივთი, რომელთან მიმართებაშიც არც მოიჯარეს და არც მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მეიჯარეს მოთხოვნები და პრეტენზიები.

### 1 ხელშეკრულების საგანი

მეიჯარე [signature] მოიჯარე [signature]

## 1 ხელშეკრულების საგანი

1.1.1. „მეიჯარე" იღებს ვალდებულებას გადასცეს „მოიჯარეს" უძრავი ნივთი, დროებით სარგებლობაში, მდებარე ქ. თბილისი ქუჩა ბარნოვი № 10 (საკადასტრო კოდი № 01.015.02.038.003 ნაკვეთის დანიშნულება არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 377.00 კვ.მ ნაკვეთის წინა № 38.

„მოიჯარე" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მეიჯარეს" ზიჯარო ქირა იმ ვადაში და იმ ოდენობით, რაც მითითებულია ხელშეკრულებაში.

1.1.2. ხელშეკრულებაში მითითებული იჯარით გადასაცემი ქონება ეკუთვნის **„მეიჯარეს"** საკუთრების უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. საიჯარო ქონება უფლებრივად დატვირთულია იპოტეკით სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკი"-ს მიერ ხელშეკრულების ნომერი 1231232783391, დამოწმების თარიღი 2020 წლის 06 თებერვალი.

1.1.3. **„მეიჯარემ"** ქონება უნდა გადასცეს **„მოიჯარეს"** წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

1.1.4. **„მეიჯარე"** ვალდებულია გადასცეს **„მოიჯარეს"** ქონება იმ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება შემდეგ პირობებს: ქონება უნდა იყოს საიჯარო მიზნებისთვის გამოსაყენებლად ვარგისი, იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

**1.1.5. იჯარის ვადა განისაზღვრა ჯამში 5 წლით, საიდანაც მოიჯარე პირველი წლიდან 1 წლის განმავლობაში, კერძოდ 2022 წლის 20 ოქტომბრამდე, გადაიხდის ქონების საიჯარო საფასურს თვეში 3000 (სამი ათასი) ლარს და განახორციელებს ყველა საჭირო სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ხოლო მომდევნო წლებში (2022 წლის 20 ნოემბრიდან 2026 წლის 20 ნოემბრამდე) ყოველთვიურად 10 000 ლარს დარჩენილი 4 წლის განმავლობაში**

1.1.6. მოიჯარის განცხადებით ხელშეკრულების ხელმოწერამდე მან შეამოწმა იჯარის საგნის ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობა. მოიჯარე აცხადებს, რომ იჯარის საგანი არის უფლებრივი და ნივთობრივი კუთხით მისაღები, მოიჯარისათვის ცნობილია ქონების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (თიბისი ბანკის იპოტეკა).

1.1.7. ქონება გამოყენებული უნდა იქნას კომერციული საქმიანობისთვის, კერძოდ სასტუმროს ტიპის მომსახურების გასაწევად.

1.1.8. იჯარის ვადის დაწყების თარიღია, ხელშეკრულების გაფორმების და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი.

## 2. მხარეთა უფლება მოვალეობები

**21. „მოიჯარე"-ს უფლება აქვს:**

მეიჯარე [signature] მოიჯარე [signature]

2.1.1. მიიღოს „იჯარის საგანი“ თავის მფლობელობაში და ისარგებლოს „იჯარის საგნით“ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.1.2. მოითხოვოს „მეიჯარე“-სგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

2.1.3. მოახდინოს „იჯარის საგნის“ დაცვა, შეინარჩუნოს იჯარის საგნის მდგომარეობა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში იზრუნოს იჯარის საგნის სათანადო მოვლაზე, არ დაუშვას იჯარის საგნის მდგომარეობის გაუარესება (გარდა ნორმალური ცვეთისა).

2.1.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრების შემდეგ მესამე პირებთან შედარებით უპირატესად მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაგრძელება / განახლება და ისარგებლოს უპირატესი შესყიდვის უფლებით.

2.1.5. „მეიჯარე“-ს მიერ „მოიჯარე“-სთვის „იჯარის საგნის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში არ გადაცემის შემთხვევაში, მოითხოვოს „იჯარის საგნის“ დაყოვნებით გადაცემით განცდილი ზიანის ანაზღაურება, ან თავის მხრივ უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

2.1.6. „იჯარის საგნის“ მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე, განაგრძოს იჯარით აღებული „იჯარის საგნით“ სარგებლობა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ვადით.

2.1.7. „მეიჯარე“-სთან შეთანხმებით „იჯარის საგნის“ დაუზიანებლად, თავისი ხარჯით მოახდინოს „იჯარის საგნის“ აღჭურვა ისეთი საგნით, რომელიც მიმართული იქნება „იჯარის საგნის“ გაუმჯობესებისკენ.

2.1.8. შეთანხმებისამებრ მეიჯარე აძლევს უფლებას მოიჯარეს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, დარეგისტრირდეს და დადგეს აბონენტად ელ.ენერგიის, წყლის, გაზის, დასუფთავების ინტერნეტ/ტელევიზიისა და სხვა კომპანიებში.

2.1.9. შეთანხმებისამებრ მეიჯარე აძლევს უფლებას მოიჯარეს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენოს კომპანიის იურიდიული მისამართი, როგორც მოიჯარის იურიდიული მისამართი.

**2.2. „მოიჯარე“ ვალდებულია:**

2.2.1. დროულად გადაიხადოს „იჯარის საგნი“-თ სარგებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა.

2.2.2. გადაიხადოს „იჯარის საგნით“ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადასახადი.

2.2.3. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მოუაროს „იჯარის საგანს“ და მიიღოს ყველანაირი ზომა იჯარის საგნის იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რაც მას გააჩნდა მოიჯარესთვის გადაცემის დროს, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას დროულად დაუბრუნოს „მეიჯარე“-ს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მისგან მიიღო, „იჯარის საგნის“ ნორმალური ცვეთის მხედველობაში მიღებით.

2.2.4. გადაიხადოს „იჯარის საგანით“ სარგებლობისათვის საჭირო ყოველგვარი კომუნალური მომსახურების გადასახადი, მათ შორის წყლის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის (გაზის), ინტერნეტის და სხვა გადასახადები, აგრეთვე გადაიხადოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაწესებული მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის;

მეიჯარე ____ მოიჯარე ____

2.2.5. გაუფრთხილდეს მეიჯარეს მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ქონებას და დაიცვას მათი ექსპლუატაციის წესები, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგ დაუბრუნოს მეიჯარეს;

2.2.6. „მეიჯარის" წინასწარი თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს „იჯარის საგანი" ქვეიჯარით და არ დაუშვას მესამე პირების მიერ იჯარის საგნის გამოყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის.

## 2.3. „მეიჯარე"-ს უფლება აქვს:

2.3.1. „იჯარის საგნის" შემოწმების მიზნით, „მოიჯარის" თანდასწრებით შევიდეს იჯარით გადაცემული „იჯარის საგნის" განთავსების ფართში, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მოიჯარეს შემოწმებამდე 02 სამუშაო დღით ადრე.

2.3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე თავისი ინიციატივით მოშალოს ხელშეკრულება, თუ „მოიჯარე" „მეიჯარის" წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, „იჯარის საგანს" მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

2.3.3. მოითხოვოს "მოიჯარისაგან" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

## 2.4. „მეიჯარე" ვალდებულია:

2.4.1. „მოიჯარე"-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, გადასცეს უფლობრივად და ნივთობრივად უნაკლო „იჯარის საგანი".

2.4.2. არ დაუშვას თავისი ბრალეული მოქმედებით რაიმე ხელისშემშლელი გარემოებების დადგომა.

2.4.3. არ ჩაერიოს „მოიჯარე"-ს საქმიანობაში.

2.4.4. მეიჯარე იღებს ვალდებულებას ჯარიმის სახით გადაუხადოს მოიჯარეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირების ან სხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენის გამო, მოიჯარეს ხელი შეეშლება ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების განხორციელებაში ან/და საიჯარო ფართით სარგებლობაში.

## 3. საიჯარო ქირა და მისი გადახდის წესი

3.1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მეიჯარე საიჯარო ფართში განახორციელებს სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რის გამოც მოიჯარე გაუკეთებს გარკვეულ შეღავათებს მეიჯარეს, კერძოდ:

- **პირველი ერთი წლის განმავლობაში - 2021 წლის 20 ოქტომბრიდან 2022 წლის 20 ოქტომბრამდე, მეიჯარე გადაიხდის 3000 (სამი ათას) ლარს;**
- **2021 წლის 20 ნოემბრიდან მომდევნო 4 წლის განმავლობაში - მეიჯარე გადაიხდის 10 000 (ათი ათას) ლარს.**

3.2. აღნიშნულ თანხები მოიცავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადს.

მეიჯარე [signature] მოიჯარე [signature]

3.3.. საიჯარო ქირის გადახდა **„მოიჯარის"** მიერ ხდება ერთჯერადად ყოველი თვის 20 რიცხვში უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მეიჯარეს საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის მეშვეობით.

3.4. მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ქირაში შედის მიწის გადასახადი და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლები, რომელიც არსებობს დღეის მდგომარეობით ან შეიძლება შემოღებული იქნას საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

3.5. მოიჯარე შეთანხმებისამებრ იღებს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის, კომუნალური გადასახადების და შენობა ნაგებობის მოვლა პატრონობისათვის განსაზღვრული საფასური სხვა დამატებით ხარჯებში მოიჯარე არ ღებულობს მონაწილეობას.

3.6. თუ მოიჯარე დაარღვევს ქირის გადახდის ვადას, მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარეს მოსთხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს პირგასამტეხლო ქირის 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

## 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2021 წლის 1 ივლისიდან და მოქმედებს 2026 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

4.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

4.2.2. თუ მოიჯარე, მიუხედავად გაფრთხილებისა, არღვევს ამ ხელშეკრულებით და/ან კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებას, მათ შორის თუ აზიანებს იჯარის საგანს ან ქმნის იჯარის საგნის დაზიანების რეალურ საშიშროებას;

4.2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

4.2.5. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**5.1.1 კომუნიკაცია მხარეებს შორის**

5.1.2. მხარეებს შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

5.1.3. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით.

5.1.4. ოპერატიულობის მიზნით დასაშვებია მხარეთათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან მხარეთა მიერ დამატებით დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, რასაც გააჩნია იურიდიული ძალა.

5.1.5. ნებისმიერი ზემოთ მითითებული ფორმით მხარისათვის გაგზავნის და ჩაბარების დასტურის ან ინფორმაციის/წერილის მხარის მიერ მიღების დადასტურება, ითვლება მხარეთათვის ოფიციალურად ჩაბარებულად.

მეიჯარე [signature] მოიჯარე [signature]

## 6. ხელშეკრულების შეცვლა

6.1.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით, ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

6.1.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და რომელიც ხელს უშლის ან აყოვნებს რომელიმე მხარის მიერ მის ვალდებულებათა შესრულებას და რომლის აღკვეთაც სცილდება ამ მხარის გონივრულ შესაძლებლობას და მიუხედავად ამ მხარის მიზანშეწონილი მოქმედებისა, შეუძლებელია იქნეს აღკვეთილი, თავიდან აცილებული ან გამოსწორებული. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტით და სხვა.

7.1.2. მხარე, რომელიც აპელირებს ფორს-მაჟორულ გარმოებაზე ვალდებულია აცნობის მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის (მათ შორის ასეთი გარემოებების შეწყვეტის) შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.1.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

## 8. სხვა დებულებები

8.1.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.1.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე ხუთი დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

8.1.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

მეიჯარე ________ მოიჯარე ________

8.1.4. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები ან/და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

8.1.5. ხელშეკრულებაში ცვლილებებიშ და დამატებების შეტანა შესაძლებელა მხოლოდ წერილობითი ფორმით რომელიც ძალაშ შევა თითეეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

8.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით შეატყობინონ მეორე მხარე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მათ საკონტაქტო იფორმაციაში ნებისმიერი ცვლების შესახებ.

## 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

**მეიჯარე**

შპს „თრიფელ ეი" ს/კ 404523725

: ქ. თბილისი ქუჩა ბარნოვი № 10

საბანკო რეკვიზიტები :

სს „თიბისი ბანკი"

ანგარიშის № GE51TB7409736020100002

დირექტრი მიხეილ მუზაშვილი

მიხეილ მუზაშვილი

**მოიჯარე**

შპს „სილექს გრუპ" ს/კ 404617688 მისამართი

მისამართი ქ. თბილისი ქუჩა ბარნოვი № 10

საბანკო რეკვიზიტები :

სს „თიბისი ბანკი"

ანგარიშის № GE51TB7409736020100002

დირექტორი ანა კერესელიძე

ანა კერესელიძე

მეიჯარე მიხეილ მუზაშვილი მოიჯარე ანა კერესელიძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N210995483 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 10.09.2021 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | ლანა მაჭავარიანი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | (+995) 595 10 16 08 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 27138118823021 |

მე, ნოტარიუს ლანა მაჭავარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს, მისამართზე ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N 1, სადარბაზო IV, სართული 2, მომმართეს მიხეილი მუზაშვილმა და ანა კერესელიძემ მათ წარმოადგინეს 10.09.2021 წლის იჯარის ხელშეკრულება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.
მე, დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მიხეილი მუზაშვილმა (დაბ. 13.10.1984წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი რუსთავი, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 42, ბინა 8, პირადი ნომერი: 35001051156) და ანა კერესელიძემ (დაბ. 11.12.1978წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხრანის ქუჩა, N 66, პირადი ნომერი: 01013006902) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე ნოტარიუსმა განვუმარტე მხარეებს, რომ არ ვიღებ პასუხისმგებლობას ხელშეკრულებაში მოყვანილ ფაქტებზე და მის სამართლებრივ შედეგებზე, შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. რის შემდეგაც განაცხადეს რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას.
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (ხელშეკრულების ორ ეგზემპლარზე შესრულებული 28 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 56 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N507-ის 31-ე მუხლისა) აგრეთვე დ.ღ.გ 10 ლარი 08 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების N507-ის 39-ე მუხლისა): სულ გადახდილია 68 ლარი და 08 თეთრი.

ნოტარიუსი ............................ ლანა მაჭავარიანი

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შეკერილია და დანომრილია
[illegible]
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N211108592 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 05.10.2021 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ელექტრონული საჯარო მონაცემთა ბაზებიდან ამონაბეჭდების შესაბამისობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ლანა მაჭავარიანი** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | (+995) 595 10 16 08 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 05459655836621 |

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი ვამოწმებ დაინტერესებული პირის ანა კერესელიძის თხოვნით ელექტრონულ საჯარო მონაცემთა ბაზიდან ამონაბეჭდის (საჯარო რეესტრის ეროვნული საიტის http://178.249.17.132/NAPRWEB35/index.php განაცხადის ნომერზე 882021771921 ატვირთული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის კერძოდ - იჯარის ხელშეკრულების დამოწმებული ნოტარიუს ლანა მაჭავარიანის მიერ 10.09.2021წ. რ/რ 210995483 დასკანერებული ვერსია) შესაბამისობას ამ ელექტრონულ ბაზაში (დასკანერებული ვერსიის დაცულ მონაცემთან.
აღნიშნულ დოკუმენტზე, რომელიც წარმოდგენილია მითითებულ ვებ-გვერდზე, ამოშლილი, ამოფხეკილი, მიწერილი, გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და სხვა დაუთქმელი გასწორებები არ აღინიშნება.
სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების,მათი გადახდევინების
წესისა და მომსახურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება #507 2011 წლის 29 დეკემბერი 31-ე მუხლის პუნ.6 31 (ერთ) ეგზემპლიარზე 3(სამი) ლარი და 39-ე მუხლის 1 პუნქ. სარეგისტრაციო საფასური 2 (ორი)ლარი, აგრეთვე დ.ღ.გ 0.54(ორმოცდათოთხმეტი) თეთრი(თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) სულ გადაიხადა 1 ეგზემპლიარზე საზღაური 5(ხუთი)ლარი და 54(ორმოცდათოთხმეტი) თეთრი.

ნოტარიუსი-----------------------------------
ლანა მაჭავარიანი

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ზაკერილია და დანომრილია
ფურცელი
ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი

საქართველო • ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი
GEORGIA • NOTARY LANA MACHAVARIANI
ГРУЗИЯ • НОТАРИУС ЛАНА МАЧАВАРИАНИ
60001123118